ანოტაცია

სამშენებლო მოედანი მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მესტიის მუნიციპალიტეტში, თბილისიდან 480 კმ მანძილზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-ზუგდიდი-მესტიის დამაკავშირებელი საავტომობილო გზით.

პროექტი ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში 50 ბავშვზე გათვლილი 5 (ხუთი) საბავშვო ბაღის პროექტირება-მშენებლობას.

საბავშვო ბაღები უნდა აშენდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირების საჭიროებებზე.

დანართი #1 ტექნიკური დავალება (მოკლე)
წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით მესტიის მუნიციპალიტეტში, ბეჩოს თემის სოფელ მაზერში (ს/კ 42.09.33.016); ჭუბერის თემის სოფ. ლახამში (ს/კ 42.15.32.138); მულახის თემის სოფ. ჭოლაშში (ს/კ 42.05.34.045); ჭუბერის თემის ცენტრში (ს/კ 42.15.33.014) და დაბა მესტიის ყოფ. N2 საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე (ს/კ 42.06.42.037) 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების დეტალური პროექტის მოსამზადებლად და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის.

საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შემსრულებლად ტენდერსი შეირჩევა ერთი მიმწოდებელი (ამხანაგობა), რომელიც მოამზადებს საბავშვო ბაღის შენობის დეტალური პროექტის და ამ პროექტის შესაბამისად შეასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო და გაშვება-გამართვის სამუშაოებს.

სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი და მიღებული საერთაშორისო სამშენებლო ნორმების და სტანდარტების შესაბამისად.

საპროექტო გადაწყვეტები და შესრულებული სამუშაოების ხარისხი უნდა უზრუნველყოფდეს საბავშვო ბაღის საიმედო და უსაფრთხო ფუნქციონირებას მსგავსი შენობა-ნაგებობებისათვის სტანდარტებით განსაზღვრული სრული საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში.

საბავშვო ბაღის შენობა გათვლილი უნდა იყოს 50 ბავშვზე და უნდა მოიცავდეს (თუმცა შეიძლება არ შემოიფარგლოს) შემდეგ სივრცეებს:
- ჯგუფის ოთახი 25-30 ბავშვზე (საძინებელი, სათამაშო/სასადილო სივრცე, მინი სამზარეულიო, გასახდელი, სან კვანძი)
- დირექტორის ოთახი
- პერსონალის ოთახი
- დამხმარე სათავსო
- დარბაზი
- სამზარეულო
- სამაცივრე სათავსო
- მედ. პუნქტი/იზოლატორი
- საუთოვებელი და სამრეცხაო ოთახი
- დამლაგებლის ოთახი სველი წერტილით და სადეზინფექციო სათავსით;
- სანიტარული კვანძის ბლოკები მოსწავლეებისათვის, ადმინისტრაციისათვის და შ.შ.მ პირებისათვის;
- საშხაპე;
- დერეფანი;
- რეკრეაცია;

დანართი: საბავშვო ბაღის საორიენტაციო საპროექტო დოკუმენტაციის ნიმუში.